



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ლურისტანის ბრინჯაო

ლურისტანის ბრინჯაო, არქეოლოგიაში მიღებული სახელწოდება, რომელიც ირანულ-კავკასიური ცხოველსახოვანი სტილით შესრულებულ ბრინჯაოს ნაკეთობას (სატევრები, ცულები, ქინძისტავეები, ტანსაცმლის სამკაული, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები და სხვ.) აღნიშნავს. მასალა ძირითადად მოპოვებულია ლურისტანის (დას. ირანი) უძველესი სამარხების გათხრების დროს. ზოგი მეცნიერი ლ. ბ-ს ძვ. წ. II ათასწლ. II-ს. მიაკუთვნებს და კასიტებს უკავშირებს. უახლესი გამოკვლევების მიხედვით (მ. შ. არქეოლ. მონაპოვრის), ლ. ბ. განეკუთვნება ძვ. წ. VIII-VI სს. მკვლევართა ნაწილი მასალას კიმერიელებს და სკვითებს უკავშირებს.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; Д ь я к о н о в И. М., История мидии от древнейших времён до конца IV в. до н. э., М., Л., 1956; G o d a r d A., Les bronzes du Luristan, P., 1931; Z a h l h a a s G., Luristan: Antike Bronzen aus dem Iran. Archäologische Staatssammlung München, Museum für Vor-und Frühgeschichte, Münch., 2002.

---